# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 93

19 მარტი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა, №22-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.073.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა №22-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.073.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 10 მარტის №21.270.288 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა, №22-ში, პირველ სართულზე, მდებარე 71.78 კვ.მ ბინა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.073.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ლილი მამულაშვილისთვის (პ/ნ: 01030042033) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე